ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-15. 15241528**

თარიღი:**31/05/2024**

„განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის Nგ-15.15241218 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2024 წლის 30 აპრილს გაცემული იქნა განკარგულება „განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ“, რომლითაც ქალაქ ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქ.N24ა-ში მდებარე N05.27.01.037 მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით კ2 კოეფიციენტის დადგენილი 2,5-დან 12,4-ით გადამეტებას ითხოვდა და არა 12,4-მდე. განკარგულებაში დაშვებული იქნა ტექნიკური ხასიათის შეცდომა და დამტკიცებული განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის ოდენობად მიეთითა 12,4.

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 59-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა „განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის Nგ-15.15241218 განკარგულებაში, განმცხადებლის მოთხოვნის ნაწილში განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის მოთხოვნილ ოდენობად განისაზღვროს 14,9 და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაკმაყოფილდეს შპს „კომფორტ პალასის“ (ს/კ 445606773) წინადადება და ტბელ აბუსერიძის ქ. N24ა-ში მდებარე N05.27.01.037 მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით კ2 კოეფიციენტი გაიზარდოს 14,9-მდე.“

2. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს „განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის Nგ-15.15241218 განკარგულების შემადგენელ ნაწილს.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი